499.962.1-5
ღ-987

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

*ხელნაწერის უფლებით*

ინგა ზაურის ასული ღუტიძე

# -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა ფორმაწარმოების საკითხები ქართულში

10.02.01 — ქართველური ენები

## ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი — 1998 წ.

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიორგი გოგოლაშვილი

ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ალექსი ჭინჭარაული

ოფიციალური ოპონენტები — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ელენე ბაბუნაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნანა ლოლაძე

წამყვანი ორგანიზაცია — თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი

დისერტაციის დაცვა გაიმართება 1998 წლის 8 დეკემბერს 12.00 საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P.10.02 c. N4 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (380008, თბილისი, პ.ინგოროყვას ქ. N8).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის 5 ნოემბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი — ფილოლ.მეცნ.კანდ. ქ.დათუკიშვილი

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ცნობილია, რომ ზმნის სირთულეს მრავალი ფაქტორი შეაპირობებს ქართულში. სირთულის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ როგორც ზმნურ კატეგორიათა სიმრავლეს, ასევე ერთი და იმავე დანიშნულებით რამდენიმე აფიქსის გამოყენებას. ამ უკანასკნელთაგან კი ჩვენს ყურადღებას თემის ნიშნებად წოდებული სუფიქსები იპყრობენ, რომელთა რაოდენობა არცთუ მცირეა ქართულში.

წინამდებარე ნაშრომი არის -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხის შესწავლის ცდა ქართულში. -ავ და -ამ თემის ნიშნები ქართული ზმნის სისტემაში მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა; საენათმეცნიერო ლიტერატურაში -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა თავისებურებების შესახებ ცალსახა აზრი არ სუფევს და, ბუნებრივია, რომ მათი კვლევა რთულ საკითხებთან არის დაკავშირებული.

კვლევის მიზანი, ამოცანები, საგანი და ობიექტი. კვლევის მიზანია ქართული სალიტერატურო ენის ძეგლების მონაცემთა და არსებული თვალსაზრისების გათვალისწინების საფუძველზე მოახდინოს -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა თავისებურებების აღწერა. კვლევის ამოცანას წარმოადგენს -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღლებაში მომხდარი ცვლილებების წარმოჩენა, მათ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების ინტერპრეტაცია და სისტემატიზაცია.

ნაშრომში გაანალიზებულია ძველი, საშუალი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებიდან მოპოვებული მასალა. ამ ჯგუფში შემავალი ზმნების თავისებურებების კვლევისას გათვალისწინებულია ქართული ენის დიალექტთა მონაცემები.

ძირითადი შედეგები. ნაშრომში გამოკვლეულია -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა თავისებურებანი სალიტერატურო ქართულში, მათ წარმოებასთან დაკავშირებული ცვლილებანი და ახსნილია ამ ცვლილებათა მიზეზები. სალიტერატურო ქართულის მონაცემები შეპირისპირებულია დიალექტთა მონაცემებთან, რის შედეგადაც ცალკე გამოიყოფა დიალექტური მახასიათებლები. ნაშრომში განხილული საკით-